დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
პროგრამა: აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თინათინ ბურძენიძე;

წევრები:

ანა ქურციკიძე-პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

(წევრი);

გიორგი ჭიაურელი-დარგის ექსპერტი (წევრი)- აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ:

ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“ არის ვიწროპროფილური და სტრატეგიული მნიშვნელობის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაფუძნდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სს „საქართველოს რკინიგზის“ პარტნიორობით. კოლეჯის ძირითადი მისიაა სარკინიგზო ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის დარგისთვის კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მომზადება.

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 402019917

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 2 ივნისის № MES 4 26 0000660298 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 11 და 12 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში“ (თბილისი, თემქა, XI მკ.რ).

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან.

დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სივრცეების დათვალიერება, კოლეჯის ბაზაზე. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდო	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1. რეკომენდირებულია დაწესებულებამ კომპიუტერული კლასში უზრუნველყოს შესაბამისი ლიცენზირებული პროგრამული პაკეტების ჩატვირთვა (მაგ. Autodesk Civil3D, ESRI ArcGIS PRO ან მათი ფუნქციური ანალოგებით)

2.2.1.1. რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება პარტნიორ ორგანიზაციებთან ან დარგობრივ საწარმოებთან.

2.2.1.1. რეკომენდებულია საგანმანათლებლო დაწესებულებამ გადახედოს B გარემოს (კომპიუტერული კლასი №304) და C გარემოს (პრაქტიკული სასწავლო ლაბორატორია №107) სივრცობრივ-ლოგისტიკურ განლაგებას.

2.2.1.3. რეკომენდებულია პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფისა და დარგობრივი გუნდის შემდგომი განვითარებისთვის, დაწესებულებამ იზრუნოს ადამიანური რესურსის ეტაპობრივ გაძლიერებაზე.

2.2.1.3 რეკომენდირებულია „შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა ამზომველ-ტოპოგრაფის სამუშაოს შესრულებისას“ განსახორციელებლად შერჩეულ პერსონალს ჩაუტარდეს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი/გადამზადება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. აღნიშნული პოზიცია ეხება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნის პროექტს და მასში დაფიქსირებულ შეფასებებს, რომლებიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ განხორციელების რესურსებსა და სპეციფიკასთან. ქვემოთ წარმოდგენილია ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთებული პოზიცია კოლეჯის მიერ დაყენებულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ემსახურება საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის განხილვის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა დააზუსტა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროგრამის განხორციელების ფორმა (იმიტირებულ სამუშაო გარემოში) და გამოასწორა ტექნიკური ხასიათის უზუსტობა.

აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში, პროგრამის მე-2 სტანდარტთან (ქვეპუნქტი 2.2.1.1 - საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი) შესაბამისობა შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“. დასკვნაში დაფიქსირდა, რომ ვიზიტისას წარმოდგენილი მატერიალური რესურსები სრულად არ შეესაბამებოდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს, რასაც კოლეჯი არ დაეთანხმა.

კოლეჯის არგუმენტირებული პოზიციის საპასუხოდ, ექსპერტთა ჯგუფი განმარტავს:

კოლეჯი მიუთითებს, რომ „ციფრული ნიველირი“ ჩარჩო დოკუმენტში მოთხოვნილი არ არის. განვმარტავთ, რომ ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს „ელექტრონულ ნიველირს“. დარგობრივი ტერმინოლოგიის თანახმად, ეს ორი ტერმინი იდენტურ ხელსაწყოს აღნიშნავს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოყენებული ტერმინი „ციფრული“ მიუთითებს სწორედ სტანდარტით მოთხოვნილ ელექტრონულ ხელსაწყოზე. რაც შეეხება კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დანართ №5-ს, ის მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ჩარჩო დოკუმენტის (დანართი №1) მოთხოვნებს კონკრეტული მოდულების მიხედვით. მიგვაჩნია, რომ კოლეჯის არგუმენტაცია არ ცვლის დასკვნის საფუძველს. ვინაიდან დაწესებულება სახელმწიფო ა(ა)იპ-ია, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანა სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში უნდა განხორციელდეს. რეკომენდებულია ჩარჩო დოკუმენტის დეტალური შესწავლა დაფინანსების მიზნობრივი მოთხოვნისათვის.

ექსპერტთა პოზიცია 2.2.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებით რჩება უცვლელი. ელექტრონული ნიველირი წარმოადგენს პროფესიული კომპეტენციების გამომუშავებისთვის აუცილებელ თანამედროვე ატრიბუტს. მხოლოდ ოპტიკური ხელსაწყოებით სწავლის შედეგების დადასტურება, თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, არასაკმარისად მიიჩნევა პროფესიული უნარების სრულფასოვანი განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდაცია ლიცენზირებული პროგრამული პაკეტების (მაგ. Autodesk Civil3D, ESRI ArcGIS PRO ან მათი ფუნქციური ანალოგების) დანერგვასთან დაკავშირებით, განპირობებულია აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ლიცენზირებული პროდუქტების გამოყენების სახელმწიფო პოლიტიკით. აღსანიშნავია, რომ სასწავლებლებს აქვთ წვდომა უფასო საგანმანათლებლო (Education) ლიცენზიებზე, რაზეც ინფორმაცია კოლეჯის წარმომადგენლებს ვიზიტისას მიეწოდათ.

კოლეჯის არგუმენტირებული პოზიცია ეყრდნობა საქართველოს მთავრობის 2024 წლის 3 ოქტომბრის #315 დადგენილებას. განვმარტავთ, რომ აღნიშნული დადგენილება ადგენს ტექნიკურ ნორმებს სახელმწიფო უწყებებში წარსადგენი გრაფიკული დოკუმენტაციისთვის. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს კურსდამთავრებულთა მომზადებას თანამედროვე საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში. მიგვაჩნია, რომ საგანმანათლებლო პროცესის შინაარსი და სტრუქტურა უნდა ითვალისწინებდეს არსებულ საკანონმდებლო და ტექნიკურ რეგულაციებს, მიუხედავად იმისა, თუ როდის იქნა დამტკიცებული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულის პროფესიული კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს თანამედროვე სტანდარტებთან ადაპტირებულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

რეკომენდაცია B (კომპიუტერული კლასი) და C (პრაქტიკული ლაბორატორია) გარემოების სივრცობრივ გაერთიანებასთან დაკავშირებით, განპირობებულია გეოდეზიური მონაცემების კამერალური დამუშავების სპეციფიკით. სივრცეების ოპტიმიზაცია ხელს შეუწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების ეფექტურად ჩამოყალიბებას და აღჭურვილობის უსაფრთხოებას.

პროგრამის 10 ძირითადი დარგობრივი მოდული გადანაწილებულია სამ პედაგოგზე. დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრებით გამოვლინდა, რომ მათგან მხოლოდ ერთს აქვს პედაგოგიური გამოცდილება ტოპოგრაფია-გეოდეზიის მიმართულებით, რაც აჩენს გუნდის გაძლიერების საჭიროებას.

რეკომენდაცია მოდულის „შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა ამზომველ-ტოპოგრაფის სამუშაოს შესრულებისას“ განმახორციელებელი პერსონალის მიზნობრივი გადამზადების თაობაზე, გამომდინარეობს ტოპო-გეოდეზიური სამუშაოების მაღალი რისკფაქტორებიდან და საქმიანობის სპეციფიკურობიდან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა გასაუბრებამ მოდულის განმახორციელებელ პირებთან ცხადყო, რომ ამ მიმართულებით დამატებითი კომპეტენციების გაღრმავება და სპეციფიკური უსაფრთხოების ზომების დეტალური ცოდნა აუცილებელია სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისთვის.

აღნიშნულს ადასტურებს კოლეჯის მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი დანართი №6-იც. მასში ასახული CV და სერტიფიკატები, მიუხედავად მათი შინაარსისა, არ შეიცავს ტოპო-გეოდეზიური სამუშაოების სპეციფიკურ უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებულ დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რაც კიდევ უფრო ამყარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის აქტუალურობას.

ექსპერტთა ჯგუფი, წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, მიიჩნევს, რომ კოლეჯის მიერ დასახელებული პოზიცია არ არის საკმარისი ექსპერტთა შეფასების შესაცვლელად. შესაბამისად, ჯგუფი უცვლელად ტოვებს გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ აღნიშნული რეკომენდაციები მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის შემდგომ სრულყოფას, ხარისხის უზრუნველყოფას და საერთაშორისო საგანმანათლებლო პრაქტიკასთან დაახლოებას. მათი გათვალისწინება წარმოადგენს კოლეჯის შემდგომი სტრატეგიული განვითარების მნიშვნელოვან ნაწილს და ხელს შეუწყობს დაწესებულების ინსტიტუციურ გაძლიერებას.“

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0731
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 30.04.2026წ. № 108 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი - ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	113
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში“ მოქმედებს დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“ (ცვლილება: 2025 წლის 1 ოქტომბრის №168 ბრძანებით). აღნიშნულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტზე დაყრდნობით 2026 წლის 30 აპრილის, №108 ბრძანებით დამტკიცდა მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ,,აზომვით-ტოპოგრაფოილი სამუშაოების შესრულება“ (0731).

ექსპერტთა ჯგუფის ანალიზით დასტურდება, რომ აღნიშნული პროგრამა სრულ თანხვედრაშია კოლეჯის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასა (2023-2030 წწ.) და სამოქმედო გეგმებთან. კერძოდ, კოლეჯის მისია ორიენტირებულია შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კადრების მომზადებაზე რკინიგზის სფეროში, ხოლო სტრატეგიული მიზნები ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაციას, დარგობრივი არეალის გაფართოებასა და პარტნიორ ინდუსტრიასთან მჭიდრო სასწავლო-საწარმოო კაკოლეჯი წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან პროფესიულ დაწესებულებას, რომელიც ემსახურება საქართველოს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის მიმართულებით კვალიფიციური კადრებით მომარაგებას.

ვინაიდან სარკინიგზო ტრანსპორტირება და, ზოგადად, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ახალი მაგისტრალების დაგეგმარება, სარკინიგზო ზოლის კადასტრი და არსებული სალიანდაგო ქსელის მოდერნიზაცია-მონიტორინგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ზუსტ საინჟინრო, გეოდეზიურ და ტოპოგრაფიულ სამუშაოებთან, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის – „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“ – დანერგვა პირდაპირ პასუხობს აღნიშნულ დარგობრივ საჭიროებებს. პროგრამა უზრუნველყოფს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის პროექტირებისა და სივრცითი მონაცემების დამუშავების მიმართულებით იმ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებზეც არსებობს მზარდი მოთხოვნა ძირითადი პარტნიორი დამსაქმებლის (სს „საქართველოს რკინიგზა“) მხრიდან.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი – 0731) საფუძველზე. პროგრამა ითვალისწინებს როგორც ინტეგრირებულ, ისე არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმას, რაც აისახება კრედიტების შესაბამის განაწილებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და იგი ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს“. კოლეჯის მიერ აპლიკანტთა შერჩევა აღნიშნულ პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრების გზით.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 07 ნოემბრის №89 ბრძანებით, ცვლილება დირექტორის 2024 წლის 26 აპრილის №49 ბრძანებით) მიხედვით დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა;
- დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისთვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

მოდულის განხორციელებისთვის საჭირო ერთი სასწავლო A, B, C გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 10 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;
შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით.
ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი — 0731) წარმოადგენს ინტეგრირებულ პროგრამას. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს როგორც ინტეგრირებულ (113 კრედიტი), ისე არაინტეგრირებულ (90 კრედიტი) ვერსიებს, რაც კრედიტების განსხვავებულ განაწილებას გულისხმობს.

პროგრამის დოკუმენტაციაში გაწერილია საგანმანათლებლო სივრცეების განაწილება, რომლებიც დაკავშირებულია სტუდენტთა ნაკადების საპროგნოზო მაჩვენებლებთან. თეორიული სწავლებისთვის გათვალისწინებულია აუდიტორია №307 (30 სტუდენტი), საინფორმაციო-ტექნოლოგიური კომპონენტისთვის — კომპიუტერული კლასი №304 (15 სტუდენტი), ხოლო პრაქტიკული მეცადინეობებისთვის — ლაბორატორია №107 (40 სტუდენტი). კოლეჯი გეგმავს წლიურად 30 სტუდენტის მიღებას, რომლებიც სასწავლო პროცესს გაივლიან ორ ნაკადად (გაზაფხული და შემოდგომა), თითოეულ ჯგუფში 15 სტუდენტის განსაზღვრით.

რესურსების განაწილება და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ეფუძნება კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებულ მეთოდოლოგიას (ცვლილება შეტანილია 2021 წლის 30 ივნისის №51 ბრძანებით). აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლი ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ორ ცვლაში წარმართვის შესაძლებლობას (დღეში 12 საათი, კვირაში 60 საათი).

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის დოკუმენტაცია მოიცავს საპროგნოზო ბიუჯეტს. ამასთან, პროგრამის საგანმანათლებლო რესურსების შეფასების მიზნით, ვიზიტის ფარგლებში დათვალიერებულ იქნა კოლეჯის ბიბლიოთეკა, სადაც წარმოდგენილია „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროგრამის სპეციფიკასთან შესაბამისი საწიგნე ფონდი და ელექტრონული რესურსები.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აზომვით ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.
ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტისა და დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტური შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულებაში დაცულია პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების შიდა პროცედურები (შექმნილია სამუშაო ჯგუფი, მიღებულია კომისიის გადაწყვეტილება ოქმის სახით). საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 17 მარტის №MES 6 26 0000321908 ოფიციალური წერილობითი თანხმობის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცა 2026 წლის 30 აპრილის №108 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“. შესაბამისად, პროგრამა ლეგიტიმურია და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება – „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ – სრულ შესაბამისობაშია მის შინაარსთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის ანალიზი აჩვენებს, რომ ძირითადი სწავლის შედეგები ორიენტირებულია ისეთ დარგობრივ კომპეტენციებზე, როგორიცაა:
1. კურსდამთავრებულმა მოახდინოს კომუნიკაციების აგეგმვა
2. შეადგინოს ორთოფოტო გეგმა
3. შექმნას საყრდენი და სიმაღლური გეოდეზიური ქსელი
4. მოახდინოს გეომორფოლოგიური აგეგმვა
5. შეასრულოს დაკვალვითი სამუშაოები
6. შეასრულოს საკადასტრო აზომვები.

თითოეული ზემოთაღწერილი სწავლის შედეგი უშუალოდ არის დაკავშირებული აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში მომუშავე პირის კომპეტენციებთან, ამასთან, პროგრამის დასახელება და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია და არ არის შეცდომაში შემყვანი.
ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ სრულად პასუხობს მოქმედ საგანმანათლებლო კანონმდებლობას. იგი სტრუქტურირებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტის მოთხოვნათა დაცვით. კოლეჯში პროგრამის სტრუქტურისა და კომპონენტების შესაბამისობა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესით“.

წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს ყველა სავალდებულო კომპონენტს: ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს. კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით, პროგრამაზე შემუშავებულია ოთხი სასწავლო გეგმა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტეგრირებული არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის (143 კრედიტი)

ინტეგრირებული ქართულენოვანი სტუდენტებისთვის (113 კრედიტი)

არაინტეგრირებული ქართულენოვანი სტუდენტებისთვის (90 კრედიტი)

არაინტეგრირებილი არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის(120 კრედიტი)

პროგრამის ძირითად დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი მიზნები, სწავლების მეთოდოლოგია და პრაქტიკული კომპონენტის ეტაპები. პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა სრულად ეფუძნება კოლეჯის მოქმედ „პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესს“.

ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (განთავსებულია ვებგვერდზე www.itc.edu.ge).
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ მიზანშეწონილობის დასაბუთება.
- შრომის ბაზრის ანალიზი.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ პაკეტი.
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით).
- აპლიკანტთა შერჩევის ინსტრუმენტები.
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის წესდება (დამტკიცებულია კოლეჯის დამფუძნებელთა კრების 2019 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით);
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 აპრილის ბრძანებით №49).
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შევსებული ფორმა.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 1 ოქტომბრის №168 ბრძანებით).
- კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 30 აპრილის №108 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ დამტკიცების შესახებ.
- ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის — „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ განხორციელების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოყოფილია სამი სასწავლო სივრცე:

- A გარემო — აუდიტორია №307 (გათვლილი 30 სტუდენტზე);
- B გარემო — კომპიუტერული კლასი №304 (გათვლილი 15 სტუდენტზე);
- C გარემო — პრაქტიკული სასწავლო ლაბორატორია №107 (გათვლილი 40 სტუდენტზე).

ამ სივრცეების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას არ გააჩნია ციფრული/ელექტრული ნიველირი. ამავდროულად, ადგილზე არსებული ელექტრონული თეოდოლიტის სრულფასოვანი ექსპლუატაცია საველე პრაქტიკის პროცესში შეუძლებელია, ვინაიდან მას არ ახლავს შესაბამისი ლარტყა. შესაბამისად პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ციფრული ნიველირის შეძენა.

ციფრული/ელექტრული ნიველირი არის პროფესიული კომპეტენციის გამოსამუშავებლად აუცილებელი, თანამედროვე ატრიბუტი. რომელის გამოყენების ცოდნაც კურსდამთავრებულისთვის მნიშვნელოვანია, რათა უპასუხოს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და სასწავლო პროცესში გამომუშავებული უნარები იყოს კონკურენტუნარიანი ბაზარზე.

კოლეჯში განთავსებული B გარემო (აუდიტორია №304) აღჭურვილია პროფესიული პროგრამებისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით, თუმცა, ექსპერტთა მიერ პროგრამული უზრუნველყოფის შესწავლამ ცხადყო, რომ ისეთი პაკეტების ნაწილი, რომლებიც სასწავლო პროცესში უნდა დაამუშაოს და გამოიყენოს სტუდენტმა, არ არის ლიცენზირებული და წარმოდგენილია მოძველებული ვერსიების სახით. სახელმწიფო პოლიტიკით საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა გამოიყენებოდეს ლიცენზირებული პროგრამები, რომელთა უმრავლესობა არის უფასო და მარტივად ხელმისაწვლოდომი სახელმწიფო დაწესებულებებისთვის. რაც შეეხება ფასიან პროგრამებს, აღვნიშნავთ, რომ დაწესებულებას პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტში გაწერილი აქვს 23.88% ლიცენზირებული პროგრამების შესაძენად.

აქედან გამომდინარე, სწავლო პროცესის ტექნოლოგიური მხარდაჭერისა და სტუდენტებისთვის თანამედროვე პროფესიული უნარების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია კომპიუტერული კლასის უზრუნველყოფა შესაბამისი პროგრამული პაკეტებით (მაგ. *Autodesk Civil3D*, *ESRI ArcGIS PRO* ან მათი ფუნქციური ანალოგებით). მიზანშეწონილია დაწესებულებამ განიხილოს როგორც აღნიშნული პროგრამების საგანმანათლებლო (აკადემიური) ლიცენზიების მოპოვების, ისე ბაზარზე არსებული ღია/უფასო ლიცენზიის მქონე ალტერნატიული პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის შესაძლებლობა.

კოლეჯის შემოღობილი შიდა ეზო წარმოადგენს უსაფრთხო სივრცეს, რომელიც საკმარისია საველე ტოპოგრაფიული პრაქტიკის საწყისი ეტაპების განსახორციელებლად. თუმცა, პროგრამის სრულფასოვანი რეალიზაციისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი დაგეგმილია ექსკლუზიურად კოლეჯის ტერიტორიაზე. ამ ეტაპზე დაწესებულებას არ გააჩნია პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რაც ზღუდავს სტუდენტთა წვდომას მრავალფეროვან სამუშაო გარემოზე.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, პროგრამის მდგრადობისა და სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევის მიზნით, რეკომენდებულია დაწესებულებამ გააფართოოს თანამშრომლობის არეალი დარგობრივ საწარმოებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სტრატეგიული პარტნიორების მოზიდვა, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა წვდომას სპეციფიკურ, მაღალტექნოლოგიურ და ძვირადღირებულ გეოდეზიურ აღჭურვილობაზე (მაგალითად: ციფრული ნიველირი და სხვა შესაბამისი ინვენტარი), რაც ამ ეტაპზე კოლეჯის მატერიალურ ბაზაზე არ მოიპოვება. აღნიშნული თანამშრომლობა დაწესებულებას მისცემს შესაძლებლობას, მატერიალური რესურსის დეფიციტის მიუხედავად, სრულად დააკმაყოფილოს საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნები და სტუდენტებს განუვითაროს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ეფექტური მენეჯმენტის, სტუდენტთა დროის რესურსის ოპტიმიზაციისა და თეორიულ-პრაქტიკული კომპონენტების უწყვეტი ინტეგრაციის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებამ გადახედოს B გარემოს (კომპიუტერული კლასი №304) და C გარემოს (პრაქტიკული სასწავლო ლაბორატორია №107) სივრცობრივ-ლოგისტიკურ განლაგებას. სპეციფიკური ტოპო-გეოდეზიური დანადგარებისა და ხელსაწყოების ექსპლუატაცია მოითხოვს მათ პერიოდულ მიერთებას/ინტეგრაციას კომპიუტერულ ტექნიკასთან (მონაცემთა გადასაცემად და დასამუშავებლად), რაც სასწავლო პროცესში გარკვეულ ლოგისტიკურ სირთულეებს აჩენს ამ გარემოების სხვადასხვა სართულზე დაშორების გამო. მიზანშეწონილია, აღნიშნული სასწავლო სივრცეები მობილიზებულ იქნას მაქსიმალურად ახლოს — მინიმუმ ერთ ფიზიკურ სართულზე მაინც. აღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც ტექნიკური მოწყობილობების უსაფრთხო და სწრაფ ტრანსპორტირებას, ისე პრაქტიკული დავალებებისა და მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების პროცესების სინქრონულად წარმართვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.1.1 არ შეესაბამება

2.2.1.1. რეკომენდირებულია დაწესებულებამ კომპიუტერული კლასში უზრუნველყოს შესაბამისი ლიცენზირებული პროგრამული პაკეტების ჩატვირთვა (მაგ. Autodesk Civil3D, ESRI ArcGIS PRO ან მათი ფუნქციური ანალოგებით)

2.2.1.1. რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება პარტნიორ ორგანიზაციებთან ან დარგობრივ საწარმოებთან.

2.2.1.1. რეკომენდებულია საგანმანათლებლო დაწესებულებამ გადახედოს B გარემოს (კომპიუტერული კლასი №304) და C გარემოს (პრაქტიკული სასწავლო ლაბორატორია №107) სივრცობრივ-ლოგისტიკურ განლაგებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას:

დირექტორის 2019 წლის 07 ნოემბრის #89 ბრძანებით (ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 26 აპრილის #49 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრასპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულებას ერთი მოდულის განსახორციელებელად ჰყავს მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. აღნიშნული დასტურდება კოლეჯის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსის დანართით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ განხორციელებაში ჩართულია 37 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 15 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 14 ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი და 8 დარგის სპეციალისტი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი.

გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ მათმა კვირეულმა დატვირთვამ არ გადააჭარბოს 40 საათს. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ სტუდენტთა ყოველი ახალი ნაკადის მიღების შემდეგ, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვებს, რომლის შესაბამისადაც, პროფესიული განათლების მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია:

დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევა და მათი კომპეტენციების დადგენა ეფუძნება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობას“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №32 ბრძანებით). პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას შერჩეული ჰყავს ახალგაზრდა, მოტივირებული პედაგოგიური გუნდი მომიჯნავე სფეროებიდან (გეოლოგია, გეოგრაფია), რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სამი სპეციალისტიდან ერთ-ერთს უფიქსირდება შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება ტოპოგრაფია-გეოდეზიის მიმართულებით, რაც პოზიტიურად აისახება სასწავლო პროცესზე, თუმცა, პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობის, ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია ადამიანური რესურსის შემდგომი გაძლიერება. ვინაიდან პროგრამის 10 ძირითადი დარგობრივი მოდული ამ ეტაპზე სრულად არის განაწილებული აღნიშნულ სამ მასწავლებელზე, იქმნება მაღალი პედაგოგიური დატვირთვა.

პროგრამის კიდევ უფრო მეტად განვითარებისა და სტუდენტებისთვის უახლესი, აქტუალური საველე-კამერალური მიდგომების გაზიარების მიზნით, სასურველია დარგობრივი გუნდის გაფართოება ვიწრო პროფილის სპეციალისტებით. ეს დააზღვევს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმდინარეობას და ხელს შეუწყობს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას პერსონალს შორის. აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია:

,,პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფისა და დარგობრივი გუნდის შემდგომი განვითარების მიზნით, რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს ადამიანური რესურსის ეტაპობრივ გაძლიერებაზე. კერძოდ, სასურველია გუნდში დამატებით იქნენ მოწვეულნი/დასაქმებულნი შესაბამისი ინჟინერ-გეოდეზისტის ან ამზომველ-ტოპოგრაფის კვალიფიკაციისა და აქტუალური საველე-კამერალური გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი სპეციალისტები, რაც განამტკიცებს მოდულების მიზნების მიღწევას და შეამცირებს არსებულ პერსონალზე დარგობრივ დატვირთვას.“

განმახორციელებლებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ ცხადყო შემდეგი რეკომენდაციის გაცემის აუცილებლობაც: რეკომენდირებულია მოდულის — „შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა ამზომველ-ტოპოგრაფის სამუშაოს შესრულებისას“ განსახორციელებლად შერჩეულ პერსონალს ჩაუტარდეს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი/გადამზადება. მნიშვნელოვანია, მასწავლებელი დეტალურად იცნობდეს ტოპო-გეოდეზიური პროცესების სპეციფიკურ რისკებს და უსაფრთხოების სტანდარტებს, რათა სწავლის შედეგების მიღწევა იყოს სრულფასოვანი და დარგზე ორიენტირებული.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციაა პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფისა და დარგობრივი გუნდის შემდგომი განვითარებისთვის, დაწესებულებამ იზრუნოს ადამიანური რესურსის ეტაპობრივ გაძლიერებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციაა „შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა ამზომველ-ტოპოგრაფის სამუშაოს შესრულებისას“ განსახორციელებლად შერჩეულ პერსონალს ჩაუტარდეს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი/გადამზადება.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებას“ ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის შესწავლით. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლით.
მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასა და სრულყოფაში;
პროგრამის ხელმძღვანელს აქვს გავლილი სხვადასხვა სახის ტრენინგი, იცნობს საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს.
ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. ის იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მიიიღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში:

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 11 მარტის #35 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ ბიბლიოთეკა განკუთვნილია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პერსონალის სარგებლობისთვის და ამისთვის აუცილებელი წინაპირობაა ბიბლიოთეკაში გაწევრიანება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე https://www.rtc.edu.ge. ის, ასევე იძლევა ელექტრონულ რესურსებზე წვდომის და ჩამოტვირთვის შესაძლებლობას. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ექსპერტების მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი), ქაღალდების ასაკინძი და ლამინირების მოწყობილობა.

კოლეჯი სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpeNBiblio. დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsNe.gov.ge) ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად:

კოლეჯში გაწერილია მარეგულირებელი წესები, კერძოდ — „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით; ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით), რომლის 30-ე მუხლი სპეციალურად ითვალისწინებს სსსმ პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველყოფასა და მათ ადაპტირებას სტუდენტთა საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულების მარეგულირებელ მექანიზმებში დეტალურად არის გაწერილი ინკლუზიური განათლების დანერგვის, სსსმ პირთა ინტეგრირების, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, ასისტენტებისა და გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობის პროცესი, ასევე ჟესტური ენის თარჯიმნისა თუ სხვა დამხმარე პერსონალის უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის ანალიზითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დგინდება, რომ ამ ეტაპზე კოლეჯში მსგავსი საჭიროება არ დამდგარა, თუმცა დაწესებულება გამოხატავს სრულ მზაობას, საჭიროების შემთხვევაში მყისიერად მოახდინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. ადმინისტრაციასთან და პედაგოგიურ პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კოლეჯს გააჩნია კომპეტენცია და მზაობა, სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს შესაბამისი დამხმარე ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ბრაილის შრიფტის, დასურათებული სახელმძღვანელოებისა თუ სხვა სპეციფიკური მასალების გამოყენება. პედაგოგები სრულად ფლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავებისა და მოდიფიკაცია/აკომოდაციის მეთოდოლოგიას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადასტურდა დაწესებულების სამართლებრივი, მატერიალური და ადამიანური მზაობა სსსმ პირთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი 2.2.1.6. დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯი იღებს ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას. ასევე, კოლეჯის ოპერირების ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში ჩართულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობიის სამინისტრო და სს „საქართველოს რკინიგზა“ 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულია რენტაბელობის ზღვარი - 10 პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს - შემოსავლების სახეობას და ხარჯების სახეობას. ხარჯების ნაწილი ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალა და ნედლეულის უზრუნველყოფის ხარჯებს, ადმინისტრირების ხარჯებს, საქონელისა და მომსახურების ხარჯებს. შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
ინდიკატორი 2.2.1.7. დაკმაყოფილებულია

- დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტი (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №32 ბრძანებით).
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შევსებული ფორმა.
- საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების შევსებული ფორმა.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის ფორმა.
- პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები.
- პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების პირადი საქმეები.
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით).
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი (განთავსებული ვებგვერდზე).
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ ბიუჯეტი.
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების/გასაუბრებების შედეგები (ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და სხვ.);
- კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სასწავლო გარემოს ადგილზე დათვალიერება/შესწავლა.

- შეფასება:
  - ☐ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☒ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით; ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 1 ოქტომბრის №168 ბრძანებით) მიხედვით, კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა. აღნიშნული სისტემა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. შეფასების პროცესი ძირითადად ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯს შემუშავებული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტები, კერძოდ: პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კითხვარები. შეფასება ხორციელდება გამოკითხვის მეთოდით, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამების შემდგომი სრულყოფისათვის და წარუდგენს მათ კოლეჯის დირექტორს.

ამასთანავე, კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით (ცვლილება 2024 წლის 26 აპრილის №56 ბრძანებით) დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომლის შესაბამისადაც პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და საუკეთესო პრაქტიკას. აღნიშნული წესის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის საერთაშორისო პრინციპის - დემინგის ციკლის შესაბამისად. პროცესში უშუალოდ არიან ჩართულნი პრაქტიკული საქმიანობით დაკავებული დარგის სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების ეფექტურ დაგეგმვას, განხორციელებასა და განვითარებას. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით განსაზღვრულია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ მოხდება დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის განხორციელების შეფასება, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში კოლეჯის ხელმძღვანელობასთან ერთად მათი ოპერატიული გადაწყვეტა.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროგრამის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება უზრუნველყოფილია კოლეჯის მიერ წინასწარ შემუშავებული სისტემატური შეფასების მოდელით და შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მკაფიო სტრატეგიით. ვინაიდან კოლეჯი ითხოვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“ დამატებას, ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეაფასა დაწესებულების ნორმატიული ბაზა და ის ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი პროგრამის დაწყებისთანავე მის პერიოდულ მონიტორინგს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციის რევიზიით დადგინდა, რომ კოლეჯში მოქმედებს მყარი სამართლებრივი საფუძვლები ხარისხის კონტროლისთვის. კერძოდ, კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომლის მიხედვითაც, ხარისხის მართვის მენეჯერის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს კოლეჯის სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასება და სათანადო საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, დირექტორისათვის გაუმჯობესების წინადადებების წარდგენა პროგრამაში/მოდულებში ცვლილებების შესატანად.

ამასთანავე, კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ შესაბამისად, ახალი პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ხარისხის შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით, გეგმავს პერიოდულ მონიტორინგს. კოლეჯის მიერ მომზადებული ეს ინსტრუმენტები (სტუდენტთა და მასწავლებელთა კითხვარები, ვერიფიკაციის ფორმები) მიმართულია სტუდენტთა პროგრესის შესამოწმებლად, სასწავლო პროცესის ეფექტურობის და კურსდამთავრებულებისთვის დასაქმების შესაძლებლობის განსასაზღვრად.

საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერი კოლეჯის დირექტორს წარუდგენს დასაბუთებულ წინადადებებს პროგრამის შემდგომი განვითარების შესახებ, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მოდიფიცირებას როგორც შიდა ინიცირების გზით, ისე გარე ინიცირებით (დამსაქმებელთა უკუკავშირის საფუძველზე). აღნიშნული მიდგომა ექსპერტთა ჯგუფს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ კოლეჯში არსებული რეგულაციები და წინასწარ დაგეგმილი მექანიზმები სრულად უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, კონსისტენტურობასა და ინსტიტუციურ მზაობას ახალი პროგრამის ხარისხიანი მართვისთვის.

ვიზიტის ფარგლებში ადგილზე შესწავლილი დოკუმენტაციით (სხვა მოქმედი პროგრამების ფარგლებში უკვე განხორციელებული გამოკითხვის ანალიზები, შევსებული კითხვარები და შიდა მონიტორინგის ანგარიშები) დადასტურდა, რომ კოლეჯს ხარისხის შეფასების მექანიზმების ეფექტური პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია. ადმინისტრაციასთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან და პედაგოგიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით დადგინდა, რომ ეს აპრობირებული მეთოდოლოგია გავრცელდება ახალ („აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზეც, რისთვისაც პერსონალი გამოხატავს სრულ მზაობასა და კომპეტენციას.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი” (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 1 ოქტომბრის № 168 ბრძანებით);
- სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს. “აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება”-ს პროგრამის სასწავლო გეგმა ასახავს მოდულების თანმიმდევრობას, განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს და უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას. გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სტუდენტებისთვის, გათვალისწინებულია არაქართულენოვანი სტუდენტების სპეციფიკაც და კოლეჯი უზრუნველყოფს მათთვის დამატებით ქართული ენის სწავლებას.

პროგრამის ხელმძღვანელთან, მენეჯერთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა მათი გამოცდილება და მზაობა. მათ იციან, როგორ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, სწორად გაანაწილონ საათები და ოპერატიულად მიაწოდონ ინფორმაცია სტუდენტებს.

ინდიკატირი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ა(ა)იპ "სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში" პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი-ს საფუძველზე (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით; ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით)დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესებს;
- მობილობის განხორციელების პირობებს;
- მიღებული განათლების აღიარების პრინციპებს;
- პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

ექსპერთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების წარმომადგენლებს და დადგინდა, რომ იგი სრულად იცავს მოქმედ რეგულაციებს და პრაქტიკაში იყენებს მოქნილ, სტუდენტზე მორგებულ მიდგომებს. დაწესებულებას აქვს პრაქტიკა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათალისწინების კერძოდ:

თუ პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია პროგრამის პროფილის მიხედვით, ცდილობს, სასწავლო ცხრილი და შეფასების პროცესები ისე დაგეგმოს, რომ მათი სამუშაო გრაფიკი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული.

ასევე, კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 31 მაისის №49 ბრძანებით (ცვლილება 2019 წლის 25 დეკემბრის №115 ბრძანებით) შექმნილია შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი რომლის მიზანია, სასწავლო პროცესზე დაკვირვების, ფოკუს-ჯგუფებში პრობლემური თემების განხილვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგად გამოკვეთოს არსებული პრობლემები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების წარმატებულ ჩართულობას სასწავლო პროცესში. აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროგრამის სასწავლო პროცესის დაკვირვების, მოდულების სპეციფიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შეფასების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება ცდილობს სასწავლო პროცესში დანერგოს პრაქტიკაზე ორიენტირებული მიდგომები. კოლეჯს გააჩნია ფუნქციონირებადი სასწავლო კომპიუტერული ლაბორატორია, რაც დარგობრივი მოდულების ნაწილის სწავლებისათვის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს და სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფერში ეხმარება.

ამასთანავე, ტოპოგრაფია-გეოდეზიის სფერო ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და მაღალტექნოლოგიური დარგია, სადაც ციფრული ინსტრუმენტები, საინჟინრო და გეოსაინფორმაციო (CAD და GIS) პროგრამები მუდმივად განიცდის განახლებას. იმისათვის, რომ სასწავლო პროცესმა სრულყოფილად უპასუხოს კრიტერიუმის მოთხოვნას დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ, მნიშვნელოვანია კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული პროგრამული უზრუნველყოფა ასახავდეს შრომის ბაზარზე არსებულ მიმდინარე რეალობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუებისა და პროგრამული ბაზის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ლაბორატორიაში არსებული დარგობრივი პროგრამები საჭიროებს ეტაპობრივ მოდერნიზაციას. პროგრამების უფრო აქტუალური და ლიცენზირებული ვერსიების ინსტალაცია უზრუნველყოფს იმას, რომ პროფესიულმა სტუდენტებმა სწავლის პროცესშივე აითვისონ ის ციფრული უნარები და სტანდარტები, რომლებითაც დღეს რეალური დამსაქმებლები და საინჟინრო კომპანიები ოპერირებენ. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის სწავლების მეთოდოლოგიის ეფექტიანობას და სტუდენტთა კონკურენტუნარიანობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის ტექნოლოგიური კომპონენტის კიდევ უფრო გაძლიერებისა და განვითარების მიზნით, გაიცემა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაცია:

,, .სწავლო პროცესის ტექნოლოგიური მხარდაჭერისა და სტუდენტებისთვის თანამედროვე პროფესიული უნარების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია კომპიუტერული კლასის უზრუნველყოფა შესაბამისი პროგრამული პაკეტებით (მაგ. *Autodesk Civil3D*, *ESRI ArcGIS PRO* ან მათი ფუნქციური ანალოგებით). მიზანშეწონილია დაწესებულებამ განიხილოს როგორც აღნიშნული პროგრამების საგანმანათლებლო (აკადემიური) ლიცენზიების მოპოვების, ისე ბაზარზე არსებული ღია/უფასო ლიცენზიის მქონე ალტერნატიული პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის შესაძლებლობა.“

ინდიკატირი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით) მე-8 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

„ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

„ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. რის საფუძველზეც, ინდივიდუალური სიტუაციციიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

„ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუს აღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით. შემუშავებული ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა 5 სამუშაო დღის ვადაში წარედგინება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში, დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ადმინისტრაციასთან და პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების გამოცდილება. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ აღნიშნული პროცედურები, საჭიროების შემთხვევაში, ახალი პროგრამის ფარგლებშიც ანალოგიურად იქნება გამოყენებული.

ინდიკატირი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება” ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია დაწესებულების შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე.

პროგრამის მდგრადობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტური ოპტიმიზაციისა და სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევის მიზნით, რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს დარგობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან/საწარმოებთან მემორანდუმების გაფორმება და თანამშრომლობის გაღრმავება. კერძოდ, მიზანშეწონილია ისეთი სტრატეგიული პარტნიორის მოზიდვა, რომელიც სასწავლო/საველე პრაქტიკის პროცესში სტუდენტებს ხელმისაწვდომობას შეუქმნის იმ სპეციფიკურ, მაღალტექნოლოგიურ და ძვირადღირებულ ინვენტარზე (მაგალითად: ციფრული ნიველირი და სხვა შესაბამისი გეოდეზიური აღჭურვილობა), რომელიც ამ ეტაპზე ფიზიკურად არ მოიპოვება კოლეჯის ბაზაზე. აღნიშნული პარტნიორობა დაწესებულებას მისცემს შესაძლებლობას, მატერიალური რესურსის დეფიციტის მიუხედავად, სრულად დააზღვიოს საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნები და სტუდენტებს განუვითაროს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.“

ინდიკატირი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის უსაფრთხოების სპეციფიკური ნორმები, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 15 აპრილის #30 ბრძანებით.

პროგრამა არ საჭიროებს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ინდიკატირი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ სასწავლო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება”;
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- დირექტორის 2024 წლის 2 აპრილის #38 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის უსაფრთხოების სპეციფიკური ნორმები“;
- ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 04 დეკემბრის №221ბრძანებით);
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრასპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 07 ნოემბრის №89 ბრძანებით, ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 26 აპრილის №49 ბრძანებით);
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის უსაფრთხოების სპეციფიკური ნორმები, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ 2026 წლის 16 მარტს.(ბრძანება N 74)
- ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.
-

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“. დოკუმენტის მე-2 მუხლის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; მოქნილობას; სიმარტივეს; მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

- „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესში“ აღწერილია:
- შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა (მუხლი 3.);
- შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა (მუხლი 4.);
- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურა(მუხლი 5.) - შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი და შემუშავებულ პროექტს იხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში.
- შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და შენახვის ვადები(მუხლი 7.);
- შეფასების გაფორმება (მუხლი 8.);
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის (მუხლი 9.)
- პროფესიული სტუდენტის შეფასება (მუხლი10.)
- პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/გასაჩივრების პროცედურა (მუხლი 11.)
- საკვალიფიკაციო გამოცდა (მუხლი 13.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს გაანალიზებულ იქნა სხვა პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. პრაქტიკის გაზიარებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნდა, რომ დაწესებულება ახალი პროგრამის ფარგლებშიც, კანონის შესაბამისად, წარმართავს შეფასების პროცესს.

ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის“ (ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 01 ოქტომბრის №169 ბრძანებით) განსაზღვრულია, რომ კოლეჯი იყენებს ვერიფიკაციის პროცედურას, როგორც დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს. ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის პროცესში. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შედგება დასკვნა რომელშიც ნათლად და დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები ადგენენ დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა აისახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს. ამავე წესის შესაბამისად, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში, 2020 წლის 20 მაისს №42 ბრძანებით შეიქმნა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: ხარისხის მართვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან/და პროფესიული განათლების მასწავლებელი ან/და დარგის სპეციალისტი.
ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მათ აქვთ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურების განხორციელების გამოცდილება. ინტერვიუებმა გამოავლინა გუნდის მზაობა, რათა აღნიშნული აპრობირებული მექანიზმები ანალოგიურად იქნას გამოყენებული ახალი პროგრამის შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციისთვისაც.

ინდიკატორის 2.4.2.2 - დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის“ (ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 01 ოქტომბრის №169 ბრძანებით) მიხედვით, შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს. შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით, რომლის შემდეგ ნადგურდება სათანადო წესის დაცვით.

ინდიკატორის 2.4.2.3. - დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით; ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით) განსაზღვრულია და პერსონალთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი რეგულარულად ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების მონიტორინგს. საჭიროების შემთხვევაში, ისეთ პრობლემურ საკითხებს, როგორიცაა ჯგუფში შედეგების მასობრივი დაუდასტურებლობა ან სწავლის შედეგების მიღწევისთვის არასაკმარისი დრო, მენეჯერი განიხილავს პროფესიული განათლების მასწავლებელთან ან პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, საჭიროებისამებრ ტარდება შესაბამისი ღონისძიებები პროგრამის შემდგომი დახვეწის მიმართულებით.

პროფესიული სტუდენტები პერსონალური მიღწევებისა თუ ჩამორჩენის შესახებ უკუკავშირს იღებენ პერსონალური მონაცემების სავალდებულო დაცვის პირობით. კოლეჯში არსებული პრაქტიკით, ინდივიდუალური კონსულტაციების ფარგლებში ხდება სტუდენტის მიღწევების განხილვა და შემდგომი განვითარების გზების დასახვა. ასევე, თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი ადგენს სტუდენტის წერილობით დახასიათებას, რომელიც ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში და არის კონფიდენციალური. აღნიშნული დახასიათებების ანალიზს აკეთებს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ავლენს ინდივიდუალურ საჭიროებებს და მიღწევების დინამიკაზე დაკვირვებით გეგმავს სტუდენტის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს.

ინდიკატორი 2.4.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანება (ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №40 ბრძანებით) დამტკიცებული ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება №42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157);
- ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

19/06/2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: